



პრესრელიზი

GIG-ს საქართველოში იტალიის ერთერთი უმსხვილესი კომპანია C.M.C. შემოჰყავს

28 ივლისს საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფსა და უმსხვილეს იტალიურ ჯგუფს Muratori & Cementisti – C.M.C. di Ravenna Società Cooperativa შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები თანხმდებიან საქართველოში დააფუძნონ ერთობლივი საწარმო, რომელიც მიიღებს მონაწილებას მასშტაბური ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების, კერძოდ, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, სარკინიგზო ინფრასტრუქტურისა და მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის განხორციელებაში.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ფინანსურმა დირექტორმა ზურაბ გელენიძემ და C.M.C ჯგუფის ახლო აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელმა პაულო მაურიმ.

ქართულ და იტალიურ კომპანიებს შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ინოვაციური საინჟინო ტექნოლოგიების გამოყენებას საქართველოს მსხვილი სამშენებლო პროექტების განხორციელებისას. ამასთან, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი გაფორმებული პარტნიორობით აკეთებს ბიზნეს საქმიანობის მნიშვნელოვანი გაფართოების შესახებ განაცხადს. თავის მხრივ, C.M.C ჯგუფი საქართველოს ბაზარზე შემოდის არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პროექტისთვის, არამედ სტრატეგიული პარტნიორობისთვის, რაც გრძელვადიან თანამშრომლობას გულისხმობს.

დამატებითი ინფორმაცია იტალიურ ჯგუფის Muratori & Cementisti – C.M.C. di Ravenna Società Cooperativa შესახებ:

C.M.C. წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს იტალიურ სამშენებლო კომპანიას, რომელიც მსოფლიოში ცნობილია მასშტაბური პროექტების განხორციელებით სატრანსპორტო, ჰიდრო და წყალმომარაგების, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი, ასევე, საზღვაო და საპორტო ინფრასტრუქტურების მიმართულებებით.

2016 წელს კომპანიის კაპიტალბრუნვამ 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, ამასთან, მიმდინარე პროექტების საპორტფელი ღირებულება 4 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს.

ბოლო 40 წლის განმავლობაში, კომპანიის საქმიანობის 2/3 ზე მეტი გადანაწილებულია შემდეგ ქვეყნებზე: ალჟირი, ანგოლა, აშშ, არგენტინა, საუდის არაბეთი, საფრანგეთი, ეგვიპტე, კენია, ლაოსი, ლიბანი, მალავი, მაროკო, მოზამბიკი, ნამიბია, ნეპალი, პაკისტანი, ფილიპინები, სინგაპური, სამხერთ აფრიკა, შვედეთი, ჩილე, ჩინეთი, შვედეთი, ტაილანდი, ზამბია.

კომპანიის პროექტებიდან შეიძლება აღინიშნოს დიდი ბეირუთის სასმელი წყლით მომარაგების სისტემა (ლიბანი), ისმაილიას სატრანსპორტო გვირაბი სუეცის არხის ქვეშ (ეგვიპტე), მათილტანის ჰიდროელექტროსადგური (პაკისტანი), მადდალენას ჩქაროსნული სარკინიგზო ტუნელი ტურინსა და ლიონს შორის (იტალია, საფრანგეთი).



კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.